პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 11 ივნისი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 128 (826) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## მთავარი და ძირითადი არ უნდა დაივიწყოთ!

(ჩვენი სამხკორების საყურადღებოთ).

საბანაკო სწავლება კარგა ხანია რაც დაიწყო. წითელი არმია გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს თავის რიგების გასამტკიცებლად და გასამაგრებლად.

მიდის სამხედრო მეცადინეობა, პოლიტიკური სწავლა, ღრმავდება კავშირი სოფელთან ეწყობა ექსკურსიები და სხვა.

ერთი სიტყვით თავისი მუშაობის მაშტაბი წითელმა ჯარმა რაც შეიძლება ფართედ გაშალა. მაგრამ სამწუხაროთ ყოველივე ამის შესახებ ჩვენ ვგებულობთ არა ჩვენი სამხკორების წერილებიდან, არამედ სხვა გზებით.

სწორედ ეხლა ბანაკობის პერიოდში აუარება საწერი მასალა ეძლევათ ჩვენ სამხკორებს. მართალია ისინი სწერენ მაგრამ მთავარი, ძირითადი რჩება მათი ყურადღების გარეშე.

ავიღოთ სამხედრო სწავლება. როგორ მიდის სამხედრო მეცადინეობა ნაწილში, რა მიღწევებია ამ მხრივ, როგორ ითვისებენ სამხედრო საქმეს წითელ-არმიელები, რა დაბრკოლებები ელობება მეცადინეობას—არც ერთი ეს საკითხი დღემდი არ გაუშუქებია ჩვენს სამხკორებს. და განა ცოტაა ამ მხრივ მასალა?

რამდენიც გინდა. როგორ მიდის დისციპლინის განმტკიცება, ან რა დეფექტები, რა მიღწევებია ამ მხრივ—არც ეს შუქდება მათ მიერ.

მაშ რაზედ სწერენ ჩვენი სამხკორები უმეტესად. ექსკურსიებზე და სოფელთან კავშირზე. ეს მეტის მეტად კარგია, საჭიროც არის. მაგრამ არც მთავარი უნდა დაივიწყო.

მთავარი ამოცანა კი ჩვენი სამხკორებისა არის რაც შეიძლება ფართედ და შინაარსიანად გაშუქება საზაფხულო სწავლების მსვლელობისა. ე. ი. უნდა გააშუქო როგორ სწარმოებს სამხედრო მეცადინეობა, რა მიღწევები აქვს ამ მიმართულებით ნაწილს.

რამდენი ცოცხალი დამახასიათებელი სურათების გადმოცემა შეუძლია სამხკორს სამხედრო სწავლებისა!

ჩვენ კიდევ ერთხელ დაბეჯითებით ვავალებთ სამხკორებს:—სწერეთ ხშირად სისტემატიურათ, არა მშრალი ცნობების სახით, არამედ ცოცხალი ენით დაწერილი კორესპონდენციები სამხედრო და პოლიტიკური სწავლების შესახებ.

პარტიული ცხოვრებაც მიეცა დავიწყებას. არც ამ მხრივ არაფერი არ იწერება. ეს უდიდესი ნაკლია სამხკორების მუშაობაში. პარტიულ მუშაობის გაშუქებას უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ სამხკორებმა.

კმარა სოფლის წარმტაცი ბუნებით გატაცება!

საჭიროა ისეთივე ინტერესით, ხალისით და ცოცხალი ენით სამხედრო სწავლების გაშუქება, როგორც ექსკურსიების და სოფელთან კავშირისა.

სამხკორის ფხიზელ თვალს არ უნდა გამორჩეს არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ნაწილის ყოველდღიურ ცხოვრებისა.

განსაკუთრებით კი იმ ძირითად ამოცანების შესრულების დარგში, რომლებიც წინ უდგანან წითელ ჯარს საბანაკო პერიოდში.

მეტი ყურადღება სამხედრო სწავლების და პარტ.-ცხოვრების გაშუქებას!

მტკიცედ შეასრულეთ ეს ამოცანა სამხკორებო!

## ინგლისის თემთა პალატაში.

კონსერვატორ დევინსონის შეკითხვაზე ინგლისის სამხედრო სამინისტროს საფინანსო მდივანმა განაცხადა, რომ მთავრობის ყურადღება მიიქცია საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო კომისრის მოხსენებამ.

მდივანმა მიუთითა, რომ საბჭოთა კავშირის ხმელეთის ძალთა რაოდენობა უდრის 1058.000 კაცს, სადაც ეს ციფრი სდგება მხოლოდ ძირითად შემადგენლობიდან და მასში არ შედის მარქაფი.

დევინსონი შეეკითხა, აქვს თუ არა მთავრობას ცნობა, თუ რა არის მიზეზი რომ საბჭოთა კავშირს ამდენი ჯარი ჰყავს იმ დროს, როცა ევროპის სახელმწიფოების არმიების რაოდენობა შემცირებულია.

ამაზე არავითარი პასუხი არ მიუღია დევინსონს.

შემდეგ ლენსბერი შეეკითხა შინაგან საქმეთა მინისტრს ხიკს, კვლავ აღეკრძალებათ თუ არა ინგლისში შესვლა უცხოელებს, კომუნისტების ან სოციალისტების კონფერენციებზე დასასწრებლად.

ხიკსმა უპასუხა, რომ ალბად ლენსბერის მხედველობაში აქვს უცხოელი კომუნისტები, რომელნიც არ დაუშვით ინგლისის კომპარტიის ყრილობაზე. დღემდის მთავრობის ეს განკარგულება განისაზღვრა მხოლოდ ერთი შემთხვევით, მაგრამ თვით განკარგულება ნათელყოფს მთავრობის საერთო პოლიტიკას.

ლიბერალ კენვორტიმ ჰკითხვა: „რა აზრი აქვს ისეთ პოლიტიკას, თუ თქვენ მაინც არ შეგიძლიათ წინააღმდეგობა გაუწიოთ კომუნისტების ინგლისში შემოსვლას.“

ხიკსმა უპასუხა: „მე არ მჯერა, რომ არ შემეძლო მათი არ შემოშვება. ერთი მეტად ცნობილი კომუნისტი, რომელიც აპირობდა ბერლინიდან მოსვლას, არ იქნა დაშვებული, დანარჩენებიც დაპატიმრებულ იქნენ“.

ლენსბერიმ ჰკითხა: „არის თუ არა კომუნიზმის პროპაგანდა“.

ხიკსმა უპასუხა: „ეს რომ ასე ყოფილიყო, ლენსბერი ეხლა ციხეში იქნებოდა“.

მუშათა პარტიის დეპუტატმა ჯეკ ჯონსმა იკითხა: „მიიღებს თუ არა მინისტრი ასეთ ზომებს იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც მოსულან რეაქციონურ სახელმწიფოებიდან ლონდონში კონფერენციებზე მონაწილეობის მისაღებად“.

პალატის თავმჯდომარის მოადგილემ განაცხადა, რომ ასეთი საკითხი ჯერ არ წამოჭრილა.

მაშინ ლენსბერიმ იკითხა: „რატომაა, რომ ის წესები, რომლებიც იხმარება კომუსტების მიმართ, არ იხმარება მონარქისტების მიმართ, რომლებიც ინგლისში ცხოვრობენ“.

ლენსბერის სიტყვის ბოლო დაფარულ იქნა მინისტრების ხმაურობით.

როცა თავმჯდომარემ მოუწოდა მას წესრიგისაკენ, ლენსბერიმ დაიძახა: „თქვენ არა გაქვთ უფლება ხელი შემიშალოთ ასეთი კითხვების მოცემაზე. მე მაქვს ამის უფლება“.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ამ საკითხის განხილვის გაგრძელება პალატაში ამ ჟამად შეუძლებელია. ლენსბერიმ დაიძახა: „როგორც სჩანს მინისტრს არ აქვს გამბედაობა მიპასუხოს ასეთ კითხვებზე, ვინაიდან ის ასეთ კითხვების დროს ყოველთვის მოიმიზეზებს რამეს“.

# ახალი რადიო-ამბები

## ჩინეთის ამბები.

### აშკარა ბრძოლა.

კვლავ იფეთქა აშკარა მტრულმა მოქმედებამ კანტონის მთავრობისა და პროვინციების—იუნანისა და ხუნანის ჯარებს შორის.

იუნანის ჯარების სარდალმა მოითხოვა კანტონის მთავრობისაგან რათა მან უბრძანოს ჯარებს შეჩერდენ და ნუ შევლენ ქალაქში. კანტონის მთავრობამ უარი განაცხადა. იუნანის ჯარები შეიჭრენ ქალაქში. ამ ჟამად მიდის ბრძოლა იუნანისა და კანტონის ჯარებს შორის.

## ჩინეთის ამბები წინ წასწევს საერთაშორისო პროლეტარიატის გაერთიანების საქმეს.

„დეილი ჰერალდის“ კორესპონდენტთან საუბარში პერსელმა სასტიკად დაჰგმო უცხოელ სახელმწიფოების მოქმედება ჩინეთში. პერსელი მიმართავს სხვა და სხვა სახელმწიფოების პროფესიონალურ ორგანიზაციებს მოახდინონ გავლენა თავიანთ სახელმწიფოებზე და შეაწყვეტინონ ჩინეთის პროლეტარიატზე მიმართული იერიშები.

პერსელმა დასასრულ განაცხადა, რომ ჩინეთის ამბები ხელს შეუწყობს საერთაშორისო პროლეტარიატის გაერთიანების საქმეს.

## უცხოეთის კაპიტალისტების დასაცავათ.



უცხოეთის სამხედრო გემები ქ. შანხაის პორტში. პირველ—რიგში სდგას ამერიკის სამხედრო კრეისერი.

## ფრანგებმა დაიჭირეს გერმანიის გემები.

საფრანგეთის სამხედრო გემებმა აგადირის ახლოს ტერიტორიალურ წყლებში დაიჭირეს გერმანიის გემები „ლეიპციგი“ და „დორტმუნდი“. დაკითხვის შემდეგ ეს გემები წაყვანილ იქნენ მაგადორის ნავთსადგურში.

## მოსკოვ-ჩინეთის საჰაერო ექსპედიცია.

### ექსპედიციის შემადგენლობა.

ექსპედიციის ხელმძღვანელად დანიშნულია შმიდტი. პილოტებია—ვოლკოვი, ვოინოვი, გრომოვი, სკატოვი, ნაიდენოვი, პოლიაკოვი და ტომაშევსკი.

მგზავრთა შორის მიფრინავენ როსტას, „პრავდას“, „იზვესტიას“, „ლენინგრადსკაია პრავდას“, სამხედრო პრესის წარმომადგენლები და პროლეტკინოს ორი კინო-ოპერატორი.

## ამხ. რიკოვი გადაფრენის შესახებ.

როსტას წარმომადგენელთან საუბარში მოსკოვიდან მონღოლეთ-ჩინეთზე გადაფრენის შესახებ რიკოვმა განაცხადა:

„ჩვენს მიერ მოწყობილი გადაფრენა რამოდენადაც მნიშვნელოვანია აღმოსავლეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით, იმდენად ძნელია ტეხნიკურად. ამ ექსპედიციას დიდი მნიშვნელობა აქვს. ერთი რომ ეს არის საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხთა შორის კავშირის განმტკიცების ნიშანი.

მეორედ, ეს იქნება საუკეთესო ვარჯიში და ჩვენი საჰაერო ტეხნიკის გასინჯვა.

ჩინეთში ჩვენი გადაფრენა, სამწუხაროდ ხდება იმ დროს, როცა იქ ასეთ ამბებს აქვს ადგილი. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ჩინეთის ხალხი მით უფრო მეტ მნიშვნელობას მისცემს ჩვენი თვითმფრინავების გამოჩენას, როგორც თანაგრძნობასა და მეგობრობას.“

## გაფრენაში მონაწილეთა საზეიმო გაცილება.

„ბოლშევიკური გამბედაობით ჩვენ გავიმარჯვებთ.“

9 ივნისს მოსკოვში, სახელმწიფო ავიოქარხანაში მოხდა მოსკოვ-მონღოლეთ-ჩინეთის გაფრენაში მონაწილეთა საზეიმო გაცილება. იყო მისალმებანი სხვადასხვა სახელმწიფო და სამოქალაქო ორგანიზაციებიდან.

ხუთშაბათს, 11 ივნისს, საღამოს 7 საათზე, ტფილისის ალმასკომში მოწვეულია ტფილისის საბჭოს ალმასკომის გაფართოებული სხდომა თემ-ალმასკომების თავმჯდომარეთა დასწრებით.

**დღის წესრიგი:**

1. საბჭოთა აღმშენებლობისა და სოფელში მუშაობის შესახებ.
2. კომუნალური ბანკის მოხსენება ძირითადი თანხის 1 მილიონი.
3. მიმდინარე საკითხები.

ტფილისის ალმასკომის ყველა წევრთა, კანდიდატთა და თემ-ალმასკომების თავმჯდომარეთა დასწრება სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

მისალმებათა პასუხით გამოვიდა გაფრენის ხელმძღვანელი შმიდტი. მან განაცხადა: „მართალია მეტად ძნელია ჩვენი მოგზაურობა, მაგრამ ჩვენ გვაქვს ბოლშევიკური გამბედაობა გავფრინდეთ ჩინეთში, დიდ, ასმილიონიან ხალხისაკენ, რომელიც უმწეოა ტეხნიკურად და დამონავებულია კაპიტალის მიერ“.

# საბჭოთა კავშირში

## შინაგან საქმეთა კომისარიატის განკარგულება.

შინაგან საქმეთა კომისარმა დაავალა ალმასკომების ადმინისტრატიულ განყოფილებებს არ დაუშვან იმ ადმინისტრატიულ ორგანოების მონაწილეობა გადასახადების აკრებაში, რომლებიც არ არიან გათვალისწინებული კანონში.

## რადიო-სადგური გროზნოში.

გროზნოში დამთავრებულ იქნა ძლიერი რადიო-სადგურის აგება, რომელიც იქნება გადამცემი პუნქტი მოსკოვ-ტფილისის ხაზზე. დღემდის მოსკოვიდან რადიოს გადმოცემას აძნელებდა კავკასიის მთაგრეხილის სიმაღლეები.

# სამხედრო ეტლებით სეირნობა დაუშვებელია.

კარგი ხანია რაც ფუფუნების წინააღმდეგ არაფერი დაგვიწერია და, მგონი, ზოგიერთებს კიდევაც დავიწყებიათ, რომ არსებობს ისეთი ორგანო, რომელიც ყოველთვის ებრძვის ასეთ მოვლენებს. ყველასათვის ანბანურ ჭეშმარიტებას უნდა შეადგენდეს ის, რომ თუ რომელიმე ნაწილს შტატით ეკუთვნის ეტლი, მაშასადამე ის უნდა ემსახურებოდეს ამ უწყების საჭიროებას, მაგრამ ეს წესი ჩვენ სინამდვილეში ხშირად ირღვევა. შემთხვევები ყოფილა რომ ჩვენი ლეგიონების ეტლებით აბანოებშიც დადიან და ქალაქში ბავშვებითაც დასეირნობენ, ყველაფერი კარგია, აბანოშიც წასვლაც და ქალაქში სეირნობაც, მაგრამ საჭიროა ვიკითხოთ, ვის ხარჯზედ ხდება ყველა ეს? რასაკვირველია სახელმწიფოს ხარჯზედ. შეიძლება ზოგიერთი ასე ფიქრობს თითქოს თუ ერთ თვეში ორჯერ წავა აბანოში ან და სადღაც ერთხელ გაისეირნებს ქალაქში ამით ბევრი არაფერი ზარალი მიეცემა სახელმწიფოს. მართალია ამით სახელმწიფო არ დაიქცევა, მაგრამ სახაზინო ქონება რომ მალე გაფუჭდება ეს კი ცხადია.

რეზინის დაცვეთის და ცხენების დაღალვის გარდა მეეტლე, რომელიც წ.-არმიელათ ითვლება იფიქრებს: მე გამოვედი სამხედრო ბეგარის მოსახდელათ და მე უნდა ვემსახურო იმ ორგანოს, რომელსაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, და არა აბანოებში და სასეირნოთ გავაცდინო დროვო. ასეთ დასკვნას ჩვენ ვადასტურებთ და დაუმატებთ, რომ არავის არავითარი უფლება არ აქვს ბოროტათ გამოიყენოს თავის თანამდებობითი უფლება. ჩვენ არ მივცემთ უფლებას, რომ სახელმწიფო ხარჯზედ ისეირნოს აბანოებში და ქალაქში და, მით უმეტეს, წ.-არმიელს ვერავინ გამოიყენებს თავის კერძო საჭიროებისათვის და თუ ვინმემ დაუშვა, ის პასუხისგებაში მიეცემა. მე არ მინდოდა ამ თემაზედ დამეწერა რამე, მაგრამ საკუთარი თვალით ნახული მაგალითით დავრწმუნდი, რომ ამ დარგში ხდება ბოროტება და ამ ბოროტებას უნდა ვებრძოლოთ ყოველი მხრიდან. ვიმედოვნებთ, რომ აწი მაინც მიაქცევს ყურადღებას ის ნაწილი სადაც ასეთ მოვლენებს აქვს ადგილი და შემდეგში აღარ გაიმეორებს. წინააღმდეგ შემთხვევაში თუ კიდევ იქნა განმეორებული ძველი შეცდომა იძულებული შეიქნება დაინტერესებული ორგანო სათანადო ზომებს მიმართოს საქმის გამოსასწორებლად.

ს. ლომიძე.

# სამხედრო საქმე ბანაკში.

## 3-4 დღით ბანაკიდან მინდვრად გასვლა.

საბანაკო პერიოდში მეცადინეობა განსაკუთრებით მინდვრად სწარმოებს. პრაქტიკული სწავლება ჩატარებულ უნდა იქნას სხვა და სხვანაირ ადგილებში, რათა ნამდვილ ბრძოლის დროს ჯარებს შეეძლოთ ბრძოლა სხვადასხვა პირობებში, მაგ. უცნობ ადგილებში, რაიც ხშირი მოვლენაა ომის დროს.

ერთი სიტყვით მეომრებმა უნდა ისწავლონ ბრძოლის წარმოება „რთულ“ ადგილებში,

ბანაკებში ინიშნება სამეცადინეოდ განსაკუთრებული უბნები, სადაც ნაწილები ყოველდღიურად სწავლობენ.

მეომარი აქ იმდენად სწავლობს ადგილ-მდებარეობას, რომ ყოველი ბუჩქი, ყოველი გორაკი, ყოველი ბილიკი თავს აწყენს მას. ამიტომ სწავლისადმი ინტერესი კლებულობს და შემდეგ მეცადინეობა სუსტად მიდის. ამას გარდა ბანაკის გარშემო ყოველთვის ვერაა შესაძლებელი სხვა და სხვა ნაირი ადგილის მონახვა. ამიტომ, ჯარებმა რომ შეისწავლონ საბრძოლო მოქმედება ყოველ ნაირ ადგილზე (გაშლილ, ვაკე, მთიან ადგილებზე და სხვა) საჭიროა დრო გამოშვებით გაყვანილ იქნას ჯარები ბანაკიდან მინდვრად სამი-ოთხი დღით. მინდვრად გასვლა ყოველთვის უნდა სწარმოებდეს სხვადასხვა მიმართულებით. 40-50 ვერსის მოშორებით ბანაკიდან მეო რები სხვადასხვა გარემოება შეისწავლიან სამხედრო მოქმ დებას.

ცხადია ასეთ სწავლის დრო ინტერესიც მეტი იქნება. მი დვრად ასეთი გასვლის დრო სწავლება იწარმოებს დღის და ღამით, სხვადასხვა ამინდ (წვიმაში, სიცხეში, ტალახ ქარში და სხვა). ერთი სიტ ვით მეომარი ეჩვევა ნამდვი საბრძოლო გარემოებას.

ასეთ მეცადინეობას დი მნიშვნელობა აქვს კიდევ იმი რომ მეომრები ეჩვევიან ლა ქრულ ცხოვრებას, ეცნობია ადგილობრივ მოსახლეობა კვების პირობებს საბრძოლ გარემოებაში და სხვა.

ომში დროს დიდ ნაწილ ჯარები ატარებენ ლაშქრულ წესით მოძრაობასა და დასვ ნებაში. ამიტომ მეომართა ჩ მბა ლაშქრულ ცხოვრება სხვადასხვა ადგილ-მდებარეობ ზე მოთავსების გაცნობა-სწა ლების მნიშვნელოვანი განყ ფილებაა.

ამრიგად რამოდენიმე დღი მინდვრად გასვლა თავიდან მ გვაშორებს ბანაკის პირობებ ნაკლულევანებას და საშუალ ბას აძლევს მეომრებს იმუშაო ისეთ გარემოებაში (გაჭირვებ დაღლილობა და სხვა) როგო შიაც მოუხდება მათ მოქმედე ბრძოლის დროს.

პ.

# სამხედრო სამსახურის კანონპროექტის შესახებ.

საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა და წარუდგინა ს. ს. რ. კ. სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლათ ძირითადი „კანონი სავალდებულო სამხედრო სამსახურის“ შესახებ, რომლის უმთავრესი მუხლები შეიცავენ, როგორც წითელი არმიის რიგებში სამსახურის ვადას, აგრეთვე გაწვევის, ვინ უნდა იქნეს არმიის რიგებში ჩარიცხული და რომელმა კლასმა როგორ უნდა მოიხადოს ბეგარა.

კანონი ამბობს, რომ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარის დაცვა, რომელმაც დაამყარა მთელ მსოფლიოზე ერთად-ერთი მუშურ გლეხური სახელმწიფო, ეკუთვნის ყველა მოქალაქეს ვინც საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ქვეშევრდომია. ყველა მოქალაქე ვალდებულია დაიცვას სოციალისტური სამშობლო— პროლეტარიატის დიქტატურა მისი მტრებისაგან, მაგრამ მისი პირდაპირი-იარაღით ხელშიდაცვა კი შეადგენს მშრომელთა-მუშების და გლეხების საპატიო საქმეს. საზოგადოების სხვა წრეებს-არა მშრომელ ელემენტებს კანონი არგუნებს სულ სხვა საქმეს სამხედრო საქმეში. ეს კანონი პირდაპირ ადასტურებს წითელი არმიის კლასიურ სახეს.

კანონის პროექტი არ აძლევს განსხვავებას ეროვნულ და სარწმუნოებრივ მხარესაც, რომლის სრული საწინააღმდეგო მდგომარეობა იყო მეფის ჯარში, რაც ერთი საბუთი იყო იმ ერთა უთანასწორობის და უნდობლობის, რომელსაც სთესდა მეფის რეჟიმი. ძველი ჯარი ერთა შევიწროების ერთი უმთავრესი იარაღი იყო მეფის მთავრობის ხელში და რა გასაკვირია, რომ მას დამონავებული ერები უნდობლობით ეპყრობოდენ.

დაამხო თუ არა მუშათა კლასმა ბურჟუაზიის და მეფის ჯალათების ბატონობა, მან მაშინვე საძირკველი ჩაუყარა ერთა ძმობას და თანასწორობას.

დღეს კი საბჭოთა მთავრობამ ამ ძირითადი კანონით უნდა დაადასტუროს ერთი უდიდეს მნიშვნელობის მოვლენა მცირე ერთა მონაწილეობა საბჭოთა მთავრობის დაცვის საქმეში.

საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქე, რომელიც სამხედრო სამსახურს ასრულებს, ატარებს საპატიო სახელს „წითელი არმიელი“-სას. სავალდებულო სამხედრო სამსახურის წესდება 21 წ. 19—40 წლის გათავებამდე, რომელშიდაც შედის, როგორც ნამდვილ სამსახურში და ოადარიგში ყოფნა, აგრეთვე წვევამდელთა მზადების დროც. წვევამდელ მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის მომზადება არის უმთავრესი საფუძველი ჩვენი ჯარის ახალი მშენებლობის-ტერიტორიალური ნიადაგზე: ეს აგრეთვე ძირითადი საფეხურია ჩვენი ახალგაზრდობის მოსამზადებლათ სამხედრო საქმეში, რომელიც ხდება ჯარის გაწვევის გარეშე 19-21 წ. წელიწადში თითო თვით ორი წლის განმავლობაში ე. ი. ვიდრე მას არ ჩარიცხავენ ნამდვილ სამსახურში ძირითად ან ცვალებად შემადგენლობის რიგებში. წითელ არმიაში გაწვევა ხდება მაშინ როცა მოქ.უსრულდება 21 წ. და ვადა ითვლება პირველ იანვრიდან.

მთელი სამსახურის ვადათ კანონი აწესებს 5 წ. ყველა სახის იარაღის ნაწილებისათვის. და ყალიბდება შემდეგნაირათ: განუწყვეტელი სამსახურის ვადა ძირითად ნაწილებში წითელი არმიის თუ ფლოტის ყველა სახის და ჯურის იარაღისათვის კანონი აწესებს 2-4 წლამდე. დანარჩენი დრო, რომელიც აკლდება 5 წ. ერთიდანსამ წლამდე წითელი მოლაშქრე იმყოფება ხანგრძლივ შვებულებაში და ეწევიან ყოველწლიურად პერიოდულ შეკრებას, არა უმეტეს ორი თვისა, სამხედრო სწავლების, მანევრების და სხ. სამხედრო საქმეებისათვის.

ტერიტორიალურ ნაწილებში ცვალებადი შემადგენლობა გროვდება პერიოდულათ ყოველ წლიურად ხუთი წლის განმავლობაში სამხედრო სწავლებაზე, მთელი ამ ხნის განმავლობაში 8—12 თვე ამა თუ იმ იარაღის სახის მიხედვით. დანარჩენი დრო კი იმყოფება ხანგრძლივ შვებულებაში.

სამხედრო ვალდებული სამსახურის გათავების შემდეგ ირიცხება წითელი არმიის თადარიგში და იყოფიან ორ რიგად: პირველი რიგი 34 წლამდი, მეორე კი 34-40 წ. შესრულებამდე ე. ი. სულ სამსახურის ვადათ ითვლება 21 წ. კანონის პროექტი მეთაურთა შემადგენლობას, რომელიც იქნება გაშვებული ხანგრძლივ შვებულებაში სთვლის როგორც ნამდვილ სამსახურის რიგებში მყოფთ. ეს უკანასკნელი მით არის საინტერესო, რომ მეთაური აქ არ ჩამორჩება სამხედრო საქმეს, ის მუდამ იქნება სამხედრო საქმესთან ახლოს და საჭიროების დროს შესძლებს ხელმძღვანელობას წითელ ჯარის მტერთან ბრძოლაში. მეთაურის სამსახური წითელ არმიაში ისაზღვრება არა უმეტეს ხუთი წლის ვადით, რის შემდეგ ის ირიცხება მუშათა და გლეხთა წითელი არმიის თადარიგში. წითელი ჯარის რეზერვში, გარდა იმ პირთა, რომლებიც თავისუფლდებიან სამსახურიდან ახალ დანიშნულების მიღებამდე, კანონის პროექტი ამბობს შემდეგს: ა) სამოქალაქო ორგანოებში მომუშავე სამხედრო პირების შესახებ, ბ) იმ პირთა, რომლებიც გამოყენებულნი არიან საპასუხისმგებლო ადგილებზე სამოქალაქო ორგანოებში, რომ მათ სამხედრო საქმეც შეასრულონ, ავადმყოფობით სამსახურის შეუსრულებლობის და სხვა.

დღემდის ჩვენ არ გვქონია სამხედრო საქმის სავალდებულო კანონი, არ ყოფილა ფორმალურათ ჩამოყალიბებული სამსახურის დრო და ვინ, რომელმა კლასმა როგორ უნდა მოიხადოს სამხედრო ბეგარა, დღეს კი ეს კანონი უკვე დასამტკიცებულად არის წარდგენილი და ცხადია საბჭოთა მთავრობა მას მიიღებს.

ასეთია დაახლოებით სამხედრო საქმის ძირითადი კანონები, რაც კიდევ უფრო კარგათ ჩამოაყალიბებს და განამტკიცებს საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვის საქმეს.

ვ. სიხარულიძე.

## სასანიტარო და სამკურნალო საკითხი 1902 წ. დაბად ბულ ცვალებად შემადგენლობის პირველი წლის შეკრე ბის დროს.

1902 წ. დაბადებულ ცვალებად შემადგენლობის პირველი წლის შეკრება, როგორც ვიცით, მოხდება ა. წ. 15 ივნისს და გაგრძელდება 1 სექტემბრამდე. საჭირო ვიცოდეთ როგორ უნდა მოეწყოს მათთვის სასანიტარო და საექიმო დარგის ორგანიზაცია.

როგორც ცნობილია, ყველა წერტებში კადრის საექიმო პერსონალი არ მოგვეპოება (არის მხოლოთ სამ მთავარ წერტებში). არა გვაქვს არც საჭირო წამლეულობა და სხვა საშვალებები 1902 წელში დაბადებულ ცვალებად შემადგენლობისათვის. ეს გარემოება შტატით არის გათვალისწინებული. ამავე დროს საექიმო-სასანიტარო საქმის ორგანიზაცია კი მოითხოვს დიდ საქმესაც და პერსონალის საკმაო ხელსაც.

ამიტომ სრულიათ ბუნებრივად ყველა სახელმძღვანელო ბრძანებების და ცირკულიარების მიხედვით ეს საქმე დავალებული აქვს ადგილობრივ ჯანმთელობის ორგანოებს. მთელი საექიმო და სასანიტარო ზრუნვა 1902 წ. დაბადებულ ცვალებად შემადგენლობის პირველი წლის შეკრების დროს ევალებათ მათ, ე. ი. ადგილობრივ ჯანმთელობის ორგანიზაციებს. ჩვენი ვალია მხოლოთ ხელი შეუწყოთ მათ და მოვაგვაროთ ჯეროვანათ მათთან დამოკიდებულება. ეს იქნება განხორციელება იმ მთავარი პრინციპის, რომელიც წამოაყენა საბჭოთა მედიცინამ. არის ერთი მთლიანი მედიცინ არ არის ცალკე უწყებრი მედიცინა მაგ. სამხედრო, რკინისგზო და სხვა ათეულ უწყების მედიცინა, როგორო ამას ძველათ ქონდა ადგილი

ამიტომ სრულიათ გასაგებ რომ საქართველოში ჯარ ზრუნვაც შეადგენს საქართვ ლოს ჯანმთელობის სახალ კომისარიატის ერთ მნიშვ ლოვან ამოცანას ისე, როგორ ეს ხდება რესპუბლიკის ს და სხვა უწყებების მიმარ როგორც სარწმუნო წყარო ბიდან გაგებული გვაქვს სამ თველოს ჯანსალკომა ამხ. გ კუჭაიძის მიერ ამ მხრით მიღ ბული არის მთელი ზომათა-რ გი და გაცემული არის შე ფერისი განკარგულებანიც. ა იტომ უნდა ვიფიქროთ 190 წელს დაბადებულ ცვალებ შემადგენლობის სასანიტარ და სამკურნალო საქმე, რო ლის დაკმაყოფილება ყოვე მხრით-უფასოთ წამლების გ ცემა ევალება ადგილობრ ჯანმრთელობის ორგანოებ მკვიდრ ნიადაგზე დგას და მხრივ უზრუნველყოფილი ქნებით. რასაკვირველია, ამ ალ საქმეს ისე, როგორც ზოგადოთ ტერსისტემას, ა გილებზე შეიძლება პირვ ხანებში დეფექტებიც დაჰყვ მაგრამ ამ გარემოებამ ჩვენ უნდა ჩაგვაფიქროს, რადგ გამოცდილებით ვიცით, რო ყოველი ახალი საქმე თვით მ შაობის პროცესში ჩამოყალ დება და მტკიცდება.

X.

# ჩვენს ტერ-ნაწილებში.

## ვემზადებით ახალწვეულების შესახვედრად.

**5-თე ლეგ. 2-რე ათასეული.**

ჩვენი ლეგიონის მეორე ათასეული კარგახანია ემზადება ახალწვეული ამხანაგების შესახვედრად.

სამზადისში საგრძნობ დახმარებას გვიწევდა ადგილობრივი ხელისუფლებაც. შენობის შესაკეთებლად და სხვა მოგვაწოდა ყველა საჭირო მასალები, მაგრამ ამ ბოლო ხანებში ცოტა არ იყოს შეასუსტა თავისი მზრუნველობა,

გვაკლია სხვა და სხვა აუცილებლად საჭირო ნივთები, მაგრამ აღმასკომი ვერ გვაძლევს უქონლობის გამო. ეს გარემოება დიდი დაბრკოლებების წინ გვაყენებს შენობის სათანადოთ მოწყობის საქმეში.

ჯერ კიდევ იმედი გვაქვს, რომ ადგილობრივი აღმასკომი მაინც არ დაგვტოვებს ასეთ მდგომარეობაში.

ამნაირად ათასეულის შემადგენლობა ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ ტერნაწილების ეს პირველი შეკრება სათანადოთ ჩაატაროს თავის ნაწილში.

წ. არმ. მ. კობოსნიძე.

## ჩვენს სამხკორთა შორის.

**5-თე ლეგ. 3-მე ათ ასეულის სამხკორთა კრება.**

2 ივნისს მოხდა ჩვენი ათასეულის სამხკორთა საერთო კრება, რომელზედაც სამხკორთა მნიშვნელობისა და მორიგ მუშაობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა. ამხ. როგავამ.

მოხსენება საკმაოდ შინაარსიანი იყო და კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი დადგენილება: 1) გაძლიერებული იქნას წერილების მიწოდების საქმე გაზ. „წითელ არმიელის“ რედაქციისადმი. 2) არც ერთი მოვლენა არ იქნეს უყურადღებოთ დატოვებული და პრესაში გამოუმჟღავნებელი, მაგრამ ამასთანავე კორესპონდენციებში დაცული უნდა იქნეს სიმართლე.

სამხკორთა მორიგ სამუშაოდ კრებამ მიიჩნია ცვალებად შემადგენლობის ცხოვრების პრესაში გაშუქება. უმთავრესად საჭიროდ სცნეს თვალყური ადევნონ ცვალებადთა სამხედრო სამსახურისადმი შეგუებას.

ამის შემდეგ კრებამ აირჩია სამხკორთა ბიურო სამი კაცისაგან, რომელსაც დაევალა ნაწილის სამხკორთა ხელმძღვანელობა და საერთო კრების მოწვევა თვეში ორჯერ მაინც. მიმდინარე საკითხებში შამოტანილი იქნა წინადადება სამხკორთა წრის დაარსებისა და მეცადინეობის გაჩაღების შესახებ, რომელიც კრებამ ერთხმად მიიღო.

წრის ხელმძღვანელობა დაევალა ამხ. როგავას.

სამხკორი გ. პატარიძე.

# პარტიული ცხოვრება.

## საჭიროა მეთოდის შეცვლა.

**მეთაურთა სკოლის 2-რე კომუჯრედი.**

სკოლის ბანაკად მოწყობის შემდეგ მეორე ასეულის კომუჯრედიც შეუდგა თავის საზაფხულო გეგმის სისრულეში მოყვანას. პირველი ღია კრება ბანაკში ყოფნის დროს შესდგა 5 ივნისს, რომელსაც დაესწრენ წარმომადგენლები სომხურ, 21-თე და აზერბეიჯანის სამხედრო სკოლებიდან.

გასარჩევი იყო პარტიის მეცამეტე კონფერენციის რეზოლიუციები და 2) კი პარტიაში მისაღებ ამხ. ამხ. განცხადებების განხილვა.

პირველი საკითხი საკმაოდ იქნა გაშუქებული, მაგრამ მოხსენება მაინც მშრალი იყო და მალე მოსწყინდათ მსმენელებს. საჭიროა ასეთ შემთხვევების დროს გამოინახოს მოხსენების სხვა გვარი საშვალება, რომ აუდიტორია ხალისიანად ითვისებდეს ორატორის სიტყვებს.

ასე „კაზიონურად“ მოხსენების ჩატარება და ასეთი მნიშვნელოვანის როგორც ამ დღეს იყო დაუშვებელია.

ეს ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია. ერთი რომელიმე კომუჯრედის შემადგენლობა მას ვერ მოაგვარებს ისე როგორც საჭიროა. ჩემის ფიქრით სკოლის ყველა კომუჯრედების გაერთიანებული კრება უფრო შესძლებს მოხსენების უფრო ცოცხალი ჩატარებისათვის სათანადო მეთოდის გამონახვას. თუ კიდევ გაგრძელდა ასეთი მდგომარეობა შრომა უქმად ჩაგვივლის.

პარტკორი მ. კე[?]ესელიძე.

# ბანაკის ცხოვრება და მუშაობა

## მოგვეცით ადუღებული წყალი.

1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონის ბანაკში არის გაკეთებული რამოდენიმე წყლის მილები, საიდანაც ლეგიონის მთელი შემადგენლობა სარგებლობს.

ერთ მილში, რომელიც მოთავსებულია უმწყობრო გუნდთან და რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, როგორც უმწყობრო გუნდისთვის, აგრეთვე მთელი შტაბის თანამშრომლებისთვის, აგერ ერთი კვირაზე მეტია რაც წყალი აღარ მოდის. მხოლოდ ერთი საათით ან ცოტა მეტით მოდის წყალი დილით და შემდეგ კი არც სადილის და არც ვახშმის დროს წყალი არა გვაქვს.

ამასთანავე ერთად სამი დღეზე მეტია რაც წყალში შესამჩნევათ იჩინა თავი ერთგვარ წითელ სულ პატარა ჭიებმა, რასაც შეუძლია გამოიწვიოს სხვა და სხვა ავადმყოფობანი.

იმედია როგორც ლეგიონის ექიმი აგრეთვე ჩვენი მესვეურები მიაქცევენ ამ მოვლენას ჯეროვან ყურადღებას, აუკრძალავენ წ. არმიელებს აუდუღებელი წყლის დალევას და აგვიდუღებენ წყალს.

სამხკორი დურბინდი.

## საბანაკო ცხოვრებიდან.

**ქართ. მეთაურთა სკოლა.**

ჩვენი სკოლის საკლუბო მუშაობაში მარტო კურსანტები იღებენ მონაწილეობას; წარმოდგენებსაც მარტო კურსანტები ესწრებიან.

ასე არ უნდა ხდებოდეს და ვისაც ეს ეკითხება, მან ყველა უნდა ჩააბას მუშაობაში. ერთი სკოლა—ერთი ოჯახი უნდა იყოს.

მაშინ იქნება ჩვენი მიღწევები და კულტურული მუშაობის შედეგები უფრო მნიშვნელოვანი.

ბანაკში ხშირად იმართება „შაბათობა“ და სკოლის საბანაკო არეს ვსწმენდავთ, ვალამაზებთ... კურსანტების დიდი უმრავლესობა მხურვალე მონაწილეობას იღებს ამ მუშაობაში, მხოლოდ ზოგიერთები კი ამ დროს ტყეში არიან და პირქვე დამხობილნი ძილს ეძლევიან.

ასეთები უეჭველად უნდა გატარდენ შუქის გაზეთში!..

სკოლას პურიც და საჭმელებიც შარშან გაცილებით უკეთესი ჰქონდა. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საჭმელების გაუმჯობესებას, თორემ „ბურღულის წვენში“ ჭიები უეჭველად გამრავლდებიან და პურიც კუჭს სამუდამოთ მოშლის!

კლუბიც უბადრუკად მიჩანჩალებს,·თავის ინსცენიროვკებით თავი მოგვაბეზრა! ერთ ხეირიან პიესას ვეღარ ვეღირსეთ...

საღამოს გამართვის დროს მუდამ ყველაფერი საძებარი აქვთ... კლუბის უფროსმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ხეირიან წარმოდგენებს!

კლუბს აქვს საწრეო მეცადინეობის ცხრილი, მაგრამ ჩვენ აქ სალიტერატურო წრისა და მომღერალთა წრის ხელმძღვანელებს ვერა ვხედავთ. მათ კარგა ხანია არაფერი გაუკეთებიათ (რას ფიქრობს კლუბის უფროსი? ნუ თუ საკმარისია მარტო ცხრილის შედგენა).

პოლიტ-შემადგენლობას აზრად აქვს სერიოზული გასამართლებების მოწყობა; ვნახოთ კლუბი რა დახმარებებს გაუწევს და რამდენად შინაარსიანი იქნება ეს გასამართლებები. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ უფ-შემადგენლობა საჭიროა სცდილობდეს კურსანტთა კულტურულად მომზადებასაც.

უამისოდ—მეტად გაგვიძნელდება დანიშნულ მიზნების მიღწევა!

სკოლას წელს სამხედრო ორკესტრიც არა აქვს. სამუსიკო გუნდი შეკრებილია ბავშვთა და ახალგაზრდობისაგან. მეცადინეობა ენერგიულად სწარმოებს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სკოლას ორ თვეში შესაფერი მუსიკა ექნება.

ვისურვოთ, რომ ყველაფერი შესაფერისი და თავის ადგილზე იყოს.

დ. პირველი.

## გუშაგის ფიქრები

ღამეა... საგუშაგოზე: ნელა ფრთებს იბერტყს ქარი;—
და მე აქ: ვდგევარ, მაღლობზე, მარტო, ამაყ მუქარით...

— —

ღამეა... ცად აზიდულან: ტიტანიური მთები;—
და მე აქ: ვზვერავ მიდამოს, მზარ თვალით, ცეცხლის მნთები...

— —

ღამეა... დუდუკს აკვნესებს: მდინარე, ლამაზ ველზე;—
და მე აქ: ბუნების კოცნა, ბანტად მეხვევა ყელზე...

— —

ღამეა... ბანაკის თავზე მშვიდობა ესვენება;—
და მე აქ: სილუეტივით ვდგევარ ურჩი შვენება...

— —

ღამეა... ტკბილადა სძინავთ: ნაომარ კავალერებს;—
და მე აქ: ვიცავ იმათ, ვინც სდაფნის მზით მრავალ ერებს...

— —

ღამეა... დუმილის თქმაზე: იშლება ფიქრთ ამალა;—
და მე აქ: ვამჩნევ, მსოფლიოს, ვით სდგება ყირამალა...

— —

ღამეა... აღმოსავლეთით: მოსჩანს ვარდის თენება;—
და მე აქ: საამო მღერით არა მყოფნის ჭენება...

— —

ღამეა... საგუშაგოზე: ისმის რკინის ზღაპარი;—
და მე აქ: შრომის სუფევას ვყევარ სანდო საფარი...

სეზმან.

## ახკომკავშირის მუშაობა ბანაკათ.

პირველი საარტილერიო ლეგიონის ნაწილების ბანაკათ გასვლის შემდეგ, 3 ივნისს პირველად მოწვეულ იქნა ლეგიონის ახკომკავშირელთა გაერთიანებული კრება, რასაც დაესწრენ ყველა ბატარეიების კომკავშირის წევრები და მათ შორის ახალწვეული კომკავშირის წევრები. უკანასკნელები პირველად ესწრებიან კომკავშირის კრებას წითელ-არმიაში.

კრებაზე კომკავშირის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა კომკავშირის ორგანიზატორმა ამხ. მამალაძემ. მომხსენებელმა დაწვრილებით გააცნო დამსწრეთ, უმეტესად ახალწვეულებს კომკავშირის მუშაობის ფორმები ჯარში.

მოხსენებამ ახალწვეულ კომკავშირელთა შორის გამოიწვია დიდი დაინტერესება, რადგან კომკავშირის მუშაობის სტრუქტურა წითელ-არმიაში, მათ სულ სხვაგვარად ეჩვენად, ვიდრე სამოქალაქოში. ამავე კრებაზე ზოგიერთ ბატარეის კომკავშირის წევრებმა წამოაყენეს საკითხი თავიანთი ნაწილების კომკავშირის ახალი ორგანიზატორების არჩევის შესახებ, რადგან ყოფილი ორგანიზატორები ავათმყოფობის გამო წასულან შვებულებაში. კრებამ მიიღო მათი განცხადება და აირჩია ორი ორგანიზატორი მესამე და მეოთხე ბატარეიებისათვის.

წ. არმიელი ბარათაშვილი.

## ჩვენი კედლის გაზეთები.

**„ბარომეტრი“ № 1. (10).**

მეთაურთა სკოლის მეორე ასეულის ორგანო.

ხკოლის ასეულის ხსენებული ორგანო პირველია, რომელიც გამოვიდა საბანაკო ცხოვრების განმავლობაში. გაზეთი ძლიერ სუფთად არის გამოცემული და კარგი წასაკითხავიცაა.

ფორმატი საშვალო და ზომიერ სვეტებათ დაყოფილია.

გაზეთში თითქმის ყველაფერია მოქცეული: ახლად გარდაცვლილი კომკავშირელ ამხანაგის ე. ვადაჭკორიას სურათი და წერილი, კომკავშირის ცხოვრება და საქმიანობა, სოფლად მუშაობის შესახებ და სვანეთის ცხოვრებიდან მეტად საყურადღებო ცნობები. შემდეგ მიდის მეზობლად მყოფ ნაციონალურ სამხედრო სკოლების ცხოვრების მიმოხილვა და ბოლოს ჩვენი ცხოვრება, რომელშიდაც დაურიდებლად არის გამოტანილი ჩვენი მიღწევები და ყველა დეფექტები.

მეორე მხრივ გაზეთი მაინც ვერ ასცდენია ზოგიერთ დეფექტებს: ნაწილში არსებობს კომუჯრედი, ის დიდი და გამოცდილი ხელმძღვანელია კურსანტთა ფართო მასის. მისი მუშაობის შესახებ გაზეთში სრულიად არაფერია

## სოფლად.

**სამხედრო პოლიტსკოლა.**

კურსანტები მორჩენ ჩაის დალევას და ჭიანჭველებსავით მოედვენ მანგლისის არე-მარეს.

რამდენიმე ამხანაგი კი დავადექით გზას და გავწიეთ ახლო მახლო სოფლების გასაცნობად და დასათვალიერებლად.

თვალ წარმტაცი სანახაობა იშლებოდა თანდათან ჩვენი თვალის წინ. გარშემო ტყეფიჭვნარი, ზოგ ალაგას გაუვალი, ყოველ ნაბიჯზედ გხვდებათ ანკარა-ცივი წყარო, უცებ გადაგელობება ხევი გიჟმაჟი მდინარით.

აგერ დაცემულ მინდორზე გამოჩნდა სოფელი, გარშემო შემოკრული აქვს სახნავი მიწები, მწვანეთ აბიბინებული. რუქა გვეუბნება, რომ სოფლის სახელი არის წვერი.

შევედით სოფელში. გლეხებმა მალე მოიყარეს თავი ჩვენ გარშემო. გაიმართა ბაასი.

ჩვენ გვაინტერესებდა გაგვეგო თუ რამდენათ არიან გაცნობილნი გლეხები დღევანდელ წეს-წყობილებას, როგორ უყურებენ საბჭოთა ხელისუფლებას.

ამ საკითხების ირგვლივ ტრიალებდა ჩვენი ბაასი.

— მართალი მოგახსენოთ, თქვენი ჭირიმე, დღევანდელ მთავრობას ვერ დავემდურებით. აი, შემომხედეთ, უკვე ოთხი წელი განვლე, ბევრი მინახავს, ბევრი ტანჯვა გამოვივლია, მაგრამ როგორც ეხლა ვგრძნობ თავს თავისუფლად, ისე არას დროს მიგრძვნია. ტყე ჩვენია, მიწა ჩვენია. ყველა უწევს ანგარიშს ჩვენ მოთხოვნილებას, აქცევენ ყურადღებას ჩვენ გაჭირვებას, ჩვენ გულის-წუხილს. წინათ კი ეს ასე არ იყო. წინათი პირუტყვებს გვეძახოდენ“.

ბევრი ილაპარაკა გლეხმა მეფის და მენშევიკების მთავრობის უსამართლოებაზედ. სხვები ყურს უგდებდნენ და ოხვრით ადასტურებდნენ მოხუცის სიტყვებს.

ბაასის შემდეგ დავათვალიერეთ სოფელი. სახლები კოხტათ აშენებული და კრამიტით დახურული არიან.

მთელ სოფელს ეტყობა გამოღვიძება; ხალისიანად მხიარულად შრომობენ, იციან, რომ ნაშრომი მათვე დარჩებად ვერავინ ვერ წაართმევს ოფლით მონაგარ სარჩოს.

— აი შენი ჭირიმე, ერთი რამე გვაღონებს, ეს სკოლის უქონლობა. ბავშვებს უნდათ სწავლა და სკოლა კი არა გვაქვს. რო წახვიდეთ ქალაქში, სთქვით სიტყვა მთავრობაში, რომ სკოლა გაგვიხსნან. ჩვენ ვპირდებით დავალების ასრულებას და ნახულ-გაგონილით ნასიამოვნები დავბრუნდით ბანაკში.

ე. ხუციშვილი

ნათქვამი, რაც დაუშვებლად მიმაჩნია. მით უმეტეს დაუშვებელია ეს იმდენად, რამდენადაც გაზეთის გამოშვების საქმეს ხელმძღვანელობდა ასეულის პარტკორი. მომავალში ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ამას გარდა ზოგიერთი წერილები განსხვავდებიან თავისი სიდიდით. რედკოლეგიამ უნდა იცოდეს, რომ დიდი წერილებს ველარ ითმენს კედლის გაზეთების პრაქტიკა.

მიუხედავად ამისა „ბარომეტრის" პირველი ნომერი დიდი ნაბიჯია წინა კედლის გაზეთებთან შედარებით. ის გაცილებით უკეთესად აშუქებს ასეულის ცხოვრებას, ვინემ მისი მიმდევნო გაზეთები ასრულებდენ ამ საქმეს.

რედკოლეგიამ ამ მხრივ აუცილებლად დაიმსახურა მკითხველების პატივისცემა და იმედია შემდეგ ნომრებში ის აღარ დაუშვებს არც ერთ დეფექტს.

სამხკორი კარავი.

## მოგვეცით ჯამები, კოვზები და კრუშკები.

**3-მე ლეგ. სამნეო ნაწილის უფროსის საყურადღებოთ.**

კარგა ხანია ჩვენი ლეგიონის არმიელები მოკლებული არიან ჯამებს, კოვზებს და კრუშკებს. ნახევარჯერ მშიერი რჩებიან. ჩვენი სამნეო ნაწილის უფროსს კი ეს გარემოება აქამდე არ შეუმჩნევია. ამის მიზეზია ის, რომ მნე ერთხელაც არ შეიხედავს ასეულებში და თვალყურს არ ადევნებს ჩვენს საჭიროებებს.

დროა გამოასწოროთ ამხ. მნევ ეს ნაკლი. მეტი ყურადღებით უნდა ეკიდებოდეთ ჩვენს საჭიროების დაკმაყოფილების საქმეს.

მოგვეცით ჯამები, კოვზები და კრუშკები.

სამხკორი რ—ნა.

## მოგვეცით განათება

პირველი ლეგიონის სამნეო გუნდში არის წითელ არმიელთა სასადილო, სადაც არ არის განათება. წითელ არმიელებს ვახშმის ჭამა და ჩაის დალევა უხდებად ყოველთვის ბნელაში.

ჩვენი ასეული ყოველთვის სამუშაოზეა და დაღლილი წითელ არმიელები სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ, დასხდებიან ეზოში და ვახშმობენ.

ცუდ მდგომარეობაში არიან აგრეთვე სასადილოს მზარეულები, იმ მხრით, რომ იმათმა ყოველთვის უნდა იმუშაონ საღამოობით მეორე დღისათვის, და იძულებული არიან ყოველივე გააკეთონ დილით, რადგან საღამოობით არ არის განათება სასადილოში. სასადილოს გამგე ამითი არაფერს არ კარგავს. მოახლოვდება საღამო თუ არა, დაჰკეტავს სასადილოს და მიბრძანდება.

ჩვენი ნაწილის უფროსებმა უნდა მიაქციონ ამ გარემოებას სათანადო ყურადღება და გამოასწორონ ეს ნაკლი.

სამხკორი ლ—მი.

## საკანტროლო კომისიას სძინავს!

**2-რე ლეგ. 2 ათასეული.**

ათასეულში არჩეული იქნა საკანტროლო კომისია, რომელსაც იმთავითვე უნდა მოეკიდა ხელი თავისი მოვალეობისათვის.

სამწუხაროთ კომისიის წევრებმა დიდი უმოქმედობა გამოიჩინეს. ჯერ არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამთ. გასაკეთებელი კი ბევრი იყო და დღესაც არის. კომისიის წევრებო, გამოიღვიძეთ და ხელი მოკიდეთ თქვენი მოვალეობის პირნათლად შესრულებას. ნუ თუ არ იცით როგორი საპასუხისმგებლო საქმე გაბარიათ?

სამხკორი წიწაკა.

## მოაწყვეთ ლენინის კუთხეც!

(პირველი საარტილერიო ლეგიონი)

ჩვენი ნაწილის საბანაკოთ გასვლის შემდეგ, ამავე ნაწილის საყარაულო გუნდი დატოვებულ იქნა ძველ ადგილზე.

პირველ ხანებში ხსენებულ გუნდში არ იყო საქმე მოწესრიგებული. ახლა ყოველივე ნაკლი გამოსწორებულია ჩვენი უფ-პოლიტ-შემადგენლობის ენერგიული მუშაობით.

ყოველდღიურად წესიერად ტარდება პოლიტსაათები, დღეში 2 საათი, რომლის გატარების დროს წითელ არმიელები დიდ აქტივობას იჩენენ, მრავალი შეკითხვებით. პოლიტსაათებს ატარებს ერთ-ერთი პოლიტხელი, რომელიც არც ერთ საკითხს არ სტოვებს გაუგებარს წითელ არმიელებისათვის.

პოლიტ-საათის დამთავრების შემდეგ იწყება სამწყობრო მეცადინეობა. ახლა გავდივართ საგარნიზონო და შინა წესდებებს. მეცადინეობას ჩვენთან ატარებს მწყობრის თავი. წითელ არმიელთა მხრით შეთვისება დამაკმაყოფილებელია.

მხოლოთ ერთ ნაკლს უნდა მიექცეს ჩვენს გუნდში ჯეროვანი ყურადღება. ჩვენთან არ არის ლენინის კუთხე, საიდაც წითელ არმიელები თავისუფალ დროს მოანდომებდენ სხვა და სხვა წიგნების კითხვას.

გუნდის მესვეურებო! გამოასწორეთ ეს ნაკლიც, მოგვეცით ლენინის კუთხეც საჭირო ლიტერატურით.

სამხკორი ა. ცქიტიშვილი.

## მოსპეთ უსუფთაობა!

პირველი ლეგიონის საზამთრო ყაზარმაში და მის ახლომახლო ბევრ უსუფთაობას აქვს ადგილი, რაც საფრთხეს უმზადებს ყაზარმაში მყოფ ახალწვეულ წითელ არმიელებს.

ყაზარმის წინ არის ფეხისადგილი, რომელშიდაც შესვლა პირდაპირ შეუძლებელია, რადგან მისი მილი გატეხილია და შიდ სავსეა სიბინძურით.

აქვე ეზოში არის წყალი, რომლის ონკანი გაფუჭებულია და წყალი სულ მუდამ იღვრება. ამ დაღვრილი წყლისაგან ჩნდება ჭაობი. ყოველივე აქ აღნიშნულ უსუფთაობას შეუძლია გამოიწვიოს სხვა და სხვა ავათმყოფობანი.

მას შემდეგ რაც პირველი ლეგიონი გავიდა საბანაკოთ, ზემოაღნიშნულ გარემოებას არავინ არ აქცევს ყურადღებას.

საჭიროა ამ მოვლენას მიექცეს სასწრაფო ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

სამხკორი ლ—მი.

## შეასწავლეთ სანიტრობა!

(პირველი ლეგიონის ქსენონი).

ჩვენი ნაწილის ქსენონში არის სამი სანიტარი, რომელთა მოვალეობას შეადგენს ხსენებული ქსენონის წითელ-არმიელთა მოვლა და საჭმელის მოტანა მათთვის თავის დროზე.

მაგრამ ხსენებული სანიტრები ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას ისე როგორც ეს მათ მოეთხოვება.

ნაწილის საბანაკოთ გასვლის შემდეგ ავათმყოფების მდგომარეობა უფრო აუტანელი შეიქნა.

სანიტრებს ჩვენი სადილის მოტანა უხდებად ლეგიონის უფროს მეთაურთა სასადილოს სამზარეულოდან, წავლენ სადილის მოსატანათ და მოტანას აღარ გვაღირსებენ. ჩვენ კი მშივრები მოუთმენლად უცდით სადილის მოტანას.

ამასთანავე ერთად ხსენებულ სანიტრებს დავალებული აქვთ ყოველ დილაობით ავათმყოფ წითელ-არმიელებისათვის პურის ყიდვა. სანიტრები არც ამ დავალებას ასრულებენ პირნათლად.

ნაყიდ პურს აკლებენ და ისე აძლევენ წითელ-არმიელებს. ამიტომ ეს ცოტა პური არ ყოფნის მათ.

ბევრჯერ იყო ამათ შესახებ მოხსენებული სადაც ჯერ არს, მაგრამ ნაკლი მაინც არ გამოსწორდა. საჭიროა ასწავლონ სანიტრებს, თუ როგორ უნდა ემსახურონ წითელ-არმიელებს.

სამხკორი ავათმყოფთაგანი.

## ახალი ამბები.

— **ქალაქის განაპირა ქუჩების კეთილ მოწყობა.** ქალაქის კეთილ მოწყობის განყოფილება შეუდგა განაპირა ქუჩების კეთილ მოწყობას.

— **საქ. ცენტრ. სტატისტ.** სამმართველო გადავიდა სოლოლაკში.

— **მუშათა ცენტრ. კლუბში.** უკანასკნელი 8 თვის განმავლობაში დაიდგა 99 წარმოდგენა, რომლებსაც დაესწრო 30. 880 მუშა-მოსამსახურე.

— **ჭიათურის მუშებს სოც.** დაზღვევის სამმართველომ ჭიათურის მუშებს სხვა და სხვა აგარაკებზე (დასასვენებელ სახლების გარდა) დაუთმო 117 ადგილი.

— **ზრუნვა მომავალზე.** ტფ. დამზღვევმა კასამ მაისის განმავლობაში ძუძუმწოვარა ბავშვებისათვის რძის ფულად დაარიგა 13. 702 მან.

— **დასაზღვევი გადასახადიდან** ტფილ. დამზღვევ კასას შემოუვიდა მაისის განმავლობაში 270.985 მანეთი.

— **მისამბელი რონოდები.** ტფილისის ტრამვაის სამმართველოს ცნობით ტფილისში ამჟამად მუშაობს 28 მისამბელი რონოდა.

— **შემოსავალი სასაკლაოდან.** ტფილისის აღმასკომს სასაკლაოდან შემოუვიდა მაისის განმავლობაში 48.605 მანეთი.

## ამბები სოფლებიდან.

**ნადების წმენდა.**

შორ. მაზრის სოც. უზრუნველყოფის ინსპექციას განზრახული აქვს ჩაატაროს მაზრის ფარგლებში ინვალიდთა ნადების წმენდა.

**ბახმაროს აგარაკზე.**

ბახმაროს აგარაკზე საკურორტო სეზონი იხსნება 1-ლი ივლისიდან.

**სამკითხველოს გახსნა.**

შორაპნის მაზრის თვითმშრომელ ხელოსანთა საზოგადოებამ გახსნა საკუთარი სამკითხველო.

**მეფუტკრეობის კურსები.**

მეფუტკრეობის ბიურო ლ ჩხუმში ხსნის მეფუტკრეო მოკლე ვადიან კურსებს. მე დინეობა დაიწყება ივლისში.

## საქართველოს ცაკში.

— **ფოთის აღმასკომმა** შუამდგომლობა აღძრა საქ. ცაკის წინაშე, რომელმაც თავის მხრივ დაადგინა აღძრას საკითხი ა. კ. ცაკის წინაშე, ქალ. ფოთისა და ქუთაისის განაპირა ქუჩების სახლების სავალდებულო დაზღვევისაგან განთავისუფლების შესახებ.

— **ოსმალეთში გადასა ლება.** სოფ. გოკიოდან (ახალ მაზრა) ოსმალეთში გადასა ლების მსურველი თათ საქ. ცაკმა გაანთავისუფ ყოველგვარი გადასახადებისაგ და აღნიშნული დადგენილ გადასცა დასამტკიცებლათ კ. ცაკს.

## უცხოეთის არმიებში.

**სამხედრო მომზადების ახალი წესი გერმანიაში.**

გასული წლის ნოემბრიდან დაწყებული ერთ ერთი გერმანელი გამომცემლობა აქვეყნებს პერიოდულ გამომცემლობას შემდეგი სათაურით: „სამხედრო ხელოვნება სურათებსა და საუბრებში".

ეს გამოცემა საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს სამხედრო პროპაგანდისა და სწავლების საქმეში. გამოცემა ძლიერ იაფფასიანია და ხელმისაწვდომი ფართო მასისათვის.

თითეული ნომერი შეიცავს ისტორიულ ნაწილს (რომელიმე გამოჩენილი სამხედრო პირის ბიოგრაფია, № გერმან ლი არმიის საომარ მოქმედ ბიდან მოთხრობას) ტაქტიკურ —სხვა და სხვა გვარი იარაღ ბის მოქმედების შესახებ, ფ ხოსანთა, ცხენოსანთა, არტ ლერიის, ჯავშნოსანთა ან ავ ონაწილების და სხვა.

განსაკუთრებით დიდი ყურა დღება აქვს მიქცეული ტეხნ კურ ნაწილის დამუშავებ რომელიც მოთავსებულია გ მოცემაში დიალოგის სახით სათანადო სქემებით იმის შეს ხებ, თუ რა როგორ უნდა გა კეთდეს და რას უნდა მიექც მთავარი ყურადღება.

## რუმინეთი.

**ჰიდროპლანების შეკვეთა იტალიაში.**

სამხედრო სამინისტრომ გადასწყვიტა არმიისა და ფლოტისათვის საჭირო ჰიდროპლანები შეუკვეთოს იტალიას.

ამ საკითხის შესასწავლად განსაკუთრებული ამოცანები მიეცა ავიაციისა და საჰაერო ფრენის გენერალურ ინსპექტორს.

**საგაფრენო ჯამაგირი.**

სამხედრო სამინისტრომ უკვე გადასჭრა საკითხი საგაფრენო დამატებითი ჯამაგირების შესახებ მფრინავისა და ტეხნიკურ პერსონალისათვის. მფრინავთა შემადგენლობა გაფრენისათვის ყველ დღიურად მიიღ ებს 60 ლეის (60 კაპ.) დღიურად. ტეხნიკური პერსონალ სამსახურის საქმეებზე გაფრენ სათვის იღებს (1 მან. და 2 კაპ.) საათში, მაგრამ არა უმ ტეს 5 საათისა თვეში.

**მფრინავთვალმდევნთა სკოლ**

15 მაისიდან რუმინეთში გაიხსნა მფრინავთვალმდევნთა კურსები. სკოლა მოწყობილია საჰაერო სწავლების ცენტრთან, ხოლო კურსები გაგრძელდებ 30 ოქტომბრამდე.

რუმინეთის თითეულ დივიზიამ ამ საქმის შესასწავლად კურსებზე მიავლინა თითო მეთაური.

## პასუხი შეკითხვებზე

**წვევამდელ გერ. კუბლაშვილს.** სამხედრო შკოლაში შესვლა შეიძლება თუ თქვენ იმყოფებით წითელ არმიის რიგებში.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

## განცხადებები

1923 წელში „ევკოგრუზის" გამგეობის დადგენილებით მისი კოოპერატივებიდან მიეცათ საქონელი ნისიათ ჩვენი ნაწილების უფ-პოლიტ-შემადგენლობას.

ეს ფული უნდა გადაეხადათ 3 თვის განმავლობაში, მაგრამ გადის მას შემდეგ რამოდენიმე წელი და ეს დავალიანება ჯერაც არ არის გადახდილი. ამ გარემოებამ სამხედრო კოოპერატივი ჩააყენა უკიდურეს მდგომარეობაში. ამიტომ „ევკოგრუზის" გამგეობა განმეორებით აცნობებს, ვისაც ეს ეხებათ, და უკანასკნელათ აფრთხილებს, შემოიტანონ თავიანთი ხვედრი დავალიანება, დღის რიცხვიდან 15 დღის განმავლობაში წინააღმდეგ შემთხვევაში გამგეობა იძულებული იქნება მიმართოს სასამართლოს ამ ფულების იძულებითი წესით ასანაზღაურებლად.

„ევკოგრუზი"-ს გამგეობა.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა ქუცხოველის 1. № 3.